საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანანა

მანანა, XVIII ს. პოეტი ქალი. დაიბადა სოფ. ძევერაში, გორის მახლობლად. მოღწეულია მისი რამდენიმე ლექსი, რ-ებიც ხანდაზმულობისას შეუთხზავს. მ-ს პოეზიას ახასიათებს რელიგ.-მისტ. განწყობილება, ორიგინ. თემატიკის ძიება, სკეპტიციზმი. ლექსი „შაირნი“ ეძღვნება ერეკლე II-ის სამხ. ძლიერებასა და პიროვნულ სიდიადეს. ხალხურ პოეზიაში ვარიანტების სახით გავრცელდა მ-ს გაბაასების ჟანრის ნაწარმოები „მანანასაგან ციების ბაასი“. მისი ლექსები გამართულია რუსთველური 16-მარცვლიანი შაირით.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გამოკვლევა და ტექსტები, [თბ.], 1936.

გ. მიქაძე